 კვირა, 25 აპრილი 1920 წ. ფასი 10 მან.

# მათრახი

საოხუნჯო ჟურნალი

№ 2

სანამ ქაღალდს მივიღებდეთ სამინისტროსაგან, ჩვენი ჟურნალი გამოვა დრო-გამოშვებით. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ კანტორა „განათლებას“.

## შეჯიბრება.



## ესიკა და ბესიკა

ბესიკამ უთხრა ესიკას:
მუდამ რომ ასე ჩარჩობო,
ეხლა ჭი ჩემი დ<sup>ო</sup>ო დადგა
შიმშილით გამოგარჩობო.

კვერცხს რვა მანათათ მოგყიდი,
ხუთ თუმნათ თითო ყველსაო.
ერთ მსხალში თუმანს თუ მომცემ
ქე გაისველებ ყელსაო.

სიმინდს, ღომსა და ლობიოს
სულაც არ ვყიდი ჯერაო,
რომ მოგშივდება მეც ფასსა
აუწევ ათასჯერაო.

შენ რომ მე აწი მაჯობო
იგი კი ალარ მჯერაო,
იაფად გინდა მოგყიდო?
ველარ მოგართვი, ვერაო.

—

ესიკამ უთხრა ბესიკას:
მე მაგით რას დამაკლებო,
დამპალ ტარანას არ მოგცემ
თითოს სამ თუმან ნაკლებო.
ვითომ შენც საქმეს აკეთებ
თუ გააძვირე ყველიო,
ერთ წუღას კი არ გიყიდის
მთელი წლის მონაწველიო.
ყველაფრათ ხომ არ გეყოფა
ეგ ორი ლუკმა ხეფსიო,
შენც დაგჭირდება—მარილი,
ნავთი, ღუსმანი, ნემსიო,
რომ მოხვალ, იმის საყიდლათ
ცუდათ გააქნევ თავსაო,
განა შენ იზამ ფინთობას
და მე ვერ ვიზამ ავსაო?

—

ბესიკამ უთხრა: ესიკავ,
ჩავიცვამ ქალამანსაო
და შენ კი ჩემის ფასებით
ვაგაგდებინებ ჯანსაო.
ფუთ ნიგოზს ხუთას მანეთზე
ავიყვან ნელია-ნელაო.
ქათმები სამას-სამასათ
უნდა დავყიდო ყველაო.
ექვსას მანათათ არ მოგცემ
ერთ მამალ ინდაურსაო,
გოჭის ფასს როცა გაიგებ
გაოპანტურებ ყურსაო.
რომ შეგცივდება, ვიცი, რომ
ცუდათ დაიწყებ ხვნეშასო
და მეკი ათას მანათათ
მოგყიდი ურემ შეშასო.

—

ესიკამ უთხრა: ბესიკავ,
ვერც მაგით მოხვალ ჯანზეო,
ჯერ დაიცადე, სამოსი
შემოგაცვეთება ტანზეო.
ათი ათასათ არ მოგცემ
გარეთ ჩასაცმელ ჩოხასო
და ერთი ახალუხიზა
ნახავ რომ ყიდდე ძროხასო.

ბაღნების საპერანგეში
დააგირავებ თავსაო,
მაგრამ სულიც რომ ამოგძვრეს
მე არ ჩაიცვამ შავსაო.
ცოლის კაბაში მომიყვან
ორივე უღლის ხარებსო
და ბოლოს ნახავ ჩვენ შორის
რომელი გაიხარებსო.

—

ბესიკამ უთხრა ესიკას,
ესიკამ უთხრა ბესიკას,
მოჭალაქეს კი ესმოდა,
რომ არ ამბობდა ერთი კარგს.
ვერც მიეკარა საყიდელს,
არც გასაყიდი რამ ქონდა
და ასე, ვაი ვაგლახით
ტანჯული სული გაჰქონდა.

—

ვაი ესიკა—ბესიკას
და მ სებრ ჩარჩ-ბაკაკებსა,
ამ დროებისა ბატონებს
(თავისუფალსა კაცებსა).

**მათრახოსანი.**

# დაუსრულებელი ომი.

კაინმა მოკლა აბელი კეტით. ომი გაგრძელდა ერთ წუთს.

ადამიანმა მოიგონა ცული ხის საჭრელად და ცელი სათიბავათ. მერე მოიფიქრა, რომ ეს იარაღი საომრათაც გამოდგება, დაიწყო ომი, რომელიც გაგრძელდა ერთ დღეს.

ადამიანი გონიერია: გამოიგონა ხანჯალი და ხმალი. ომი გაგრძელდა ერთ თვეს.

სატანამ მოიგონა კაცობრიობის განადგურება. შეძვრა ბერის ბარტოლდო შვარცის ტყავში და გამოიგონა თოფის წამალი. ამას მოყვა გამოგონება თოფისა, ზარბაზნისა, ყუმბარისა, ტყვიის მტყორ-

ცნელისა და სხვა. ომი გაგრძელდა ერთ წელიწადს.

სატანამ გამოიგონა შხამიანი გაზები, ტანკები, წყლის ქვეშ მავალი ნავები, აეროპლანები და გადაჰკიდა გერმანიას მთელი ქვეყანა. ომი გაგრძელდა ხუთ წელიწადს.

როგორც იქნა ომი გათავდა.

სატანა არ დაცხრა: შეძვრა ბაიყუშის ქერქში და გადაჰკიდა ერთმანეთს ორი უძლიერესი და უდიდესი სახელმწიფო—სომხეთი და აზერბაიჯანი.

დაიწყო დაუსრულებელი ომი აღმოჩნდა, რომ სომხეთი და აზერბეიჯანი დასაბამიდან ემზადებოდნენ საომრათ.

ნოემ თვისი კიდობანი უანდერძა სომხებს. სომხებმა ეს ჯავშნიანი გემი არარატიდან ჩაიტანეს და გოგჩის ტბაში ჩაუშვეს. ამ ჯავშნიანი გემის გარდა სომხებმა გააკეთეს და გოგჩის ტბაში ჩაუშვეს ათასი დრედნოუტი, ორი ათასი კრეისერი, ათი ათასი კიდევ შეიარაღებული გემი და ათასი წყლის ქვეშ მავალი ნავი.

მხოლოთ ეხლა აღმოჩნდა, რომ სომხეთის ფლოტი უდიდესი ყოფილა, ვიდრე შეერთებული ფლოტები გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიისა.

არარატზეც გაშენებული ყოფილა მთელ ქვეყნიერებაზე უდიდესი ქარხანა ზარბაზნებისა და ტყვია წამლისა.

აზერბაიჯანიც თურმე ნაკლებათ არ ემზადებოდა საომრათ. მთელი კასპის ზღვა გაქედილია დრედნოუტებით, კრეისერებით და შეიარაღებულ წყალზე და წყლის ქვეშ მავალ ნავებით. სათევზაო ნავებიც კი საომარ ნავებათ არის გადაქცეული. ინგლისელებმა დაუტოვეს აზერბეიჯანს ზარბაზნები, ტყვია-წამლები და ერთი მილიონი საომრათ გამზადებული ჯორები.

სომხებს არ ეშინიათ ამ ჯორებისა, რადგან ყარაბაღში უფრო მეტი ჯორებია საომრათ გაწვრთნილი.

სომხეთ აზერბაიჯანის ომი თან და თან მწვავდება. ხათაბალა ის არის, რომ თვით ვილსონს ეშინიან საქმეში ჩაერიოს და ზავის ჩამოგდებაზე კრინტი დასძრას, რადგანაც სომხებმა და აზერბაიჯანმა გამოაცხადეს, ვინც ჩვენ საქმეში ჩაერევა, იმასაც ომს გამოუცხადებთ და მუისვე გავანადგურებთო.

ინგლისელები წინდახედული ხალხია და იმ თავითვე იგრძნეს, რა საშიშროებას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის სომხეთ-აზერბაიჯანის ომი და ამიტომ თავს უშველეს და დროზე გაიყვანეს კავკასიიდან თვისი ჯარები.

კაცობრიობას დაავიწყდა ლიეჟი, ანტერპენი და ვერდენი. ეხლა მთელი ქვეყნის ყურადღება მიქცეულია სომხეთ-აზერბაიჯანის ფრონტზე. მთელი ქვეყანა ყოველ წუთს მოუთმენლათ ელოდება რადიოტელეგრაფებს არარატზე გამართულ უდიდეს სადგურიდან, რომელმაც თვისი ძლიერებით დაჩრდილა ეიფელის კოშკზე ამართულ რადიო-ტელეგრაფის სადგური.

აი უკანასკნელი რადიო ტელეგრამები არარატის სადგურიდგან დაგზავნილები:

**არარატი.** 12 აპრილი, დილის 5 საათი: ჩვენმა ხუთმა კორპუსმა ალყა შემოარტყა უძლიერეს სიმაგრეს აზერბაიჯანისას—იარადალუს, აზერბაიჯანის საზღვარზე. სიმაგრემ ვერ გაგვიძლო, ავიღეთ იერიშით, სიმაგრის გარნიზონის ერთი მესამედი ამოვჟლიტეთ. ჩვენი ჯარი მიადგა მეორე ძლიერ სიმაგრეს ტატლუს, რომელიც აღმოჩნდა ძლიერ გამაგრებულათ. ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია და იარადულაში დაბინავდა. მზადდება სასტიკი ბრძოლა.

**არარატი,** 13 აპრილი, დღის 2 საათი. ჩვენმა სახელოვანმა მთავარ სარდლებმა ბაღდასარიანცმა და ვართაქონიანცმა მიიტანეს იერიში ყარაბაღის სიმაგრეზე. სიმაგრე დაეცა. ჯარებმა აიღეს, დახწვეს და გაანადგურეს სიმაგრეები ზემო აქსიბარი, ქვემო აქსიბარი, ფარაჰლი, ჰეირალი, ბანაშე, ხუჩიაირუში და სვალამლი ნადაელი დიდია.

ამ რადიო-ტელეგრამიდან სჩანს, რომ ჯერ-ჯერობით სომხეთი სჯობნის აზერბაიჯანს. სომხეთი განაგრძობს სატევ ომს, აზერბაიჯანი თავს იცავს საგერო ომით. აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრი მეჰმანდაროვი ზარდაცემულივითაა. გარეშე საქმეთა მინისტერი ხან-ხოისკი შეშინებული ნოტებს უგზავნის ყველა სახელმწიფოს, მაგრამ ვერც ერთი სახელმწიფო ვერა ბედავს სომხეთ-აზერბაიჯანის საქმეში ჩარევას, რადგანაც სომხეთს დიპლომატიური მხრივ საქმე კარგათა აქვთ მოწყობილი.

სომხეთის პოლიტიკამ და დიპლომატიამ გადააჭარბა მაკიაველისა, ბისმარკისა, ლიხუნგჩანგისა და ვილჰელმის დიპლომატიას.

**შავგრემანი.**

კომუნისტთა სამხედრო მინისტრი ტროცკი საქართველოსკენ მოემგზავრება.

## ზალიკაის უსტარი დამფუძნებელ კრებაში.

2.

ამხანაგო მოქალაქევ, დამფუძნებელო კრებავ! იცოცხლეთ არავალუამიერ. სხვა, მე ქე გადურჩი მოვალეებსაც, ცოლ-შვილსაც, დუუყუყდი და ზე გადამაშპენ თავზე მათი აღდგომიანა. ისე ჩემი ბატონი შენ ხარ, ხვთის და თქვენი წყალობა ქე მიეხაზირებია რაცხა ხეფსი საწყალ ქალს, მარა ღმერთს დუუჯერე, თქვენი მჯავრით წამწარებული მქონდა ყოლიფერი, ვაი თუ იგენს კბილის გასაკრავი აფარი აქვენ მეთქი. ღმერთმა იცის დავუუჭკე—ლაგინაით ღვინო, გოჭის ჭიღვი, კვერცხი, იაფუფი მევიკურტნე და ვფხეკე ტანციაზე, მივადექი გამოხრენტილს და ვიყურაუუტე, მარა არ გუამოს ჭირმა, ახლანდელ კსებს თურმე ორი მისადგომი ქონებია. ხელის შესაკიტინებელი ჩვენდა, თავიან-ფეხიანა შესავალი პალიტოიანებიზა! . მერე კიდო ისე გუუძვირებია' გასაჩხიკინებელ კანდუხტორებს ბილეთი თურმე, მაინც ვერ ვიყიდდი. წატრიკინდა მაშინაი და მოვსცხე ისევლე შინისაკენ გულდამწვარი. ეი თქვენი არჩევი დღესაც თაროზე მაქ დაჭუჭკული, თუ გზაი დაგირჩენ ნუ დეირცხვენთ გამომიარეთ.

ამას გარდა უფალო ამხანაგო, ჩვენს ამბავს მგონია ქე გეტყოდა თქვენი და ჩვენი ლასა მგელაძე. ჩვენი გაპივრება იმას პაწეი ქე გავაგებიეთ, ბიძაშვილობამ იმას ყოლიფერი კაი დამართოს, მის გვირგვინზე აკოცნიოს მის დედმამას, რაფერ ჩვენებურათ იმან გველაპარაკა რას ქვია ძალადობით გვარდიის გაყვანაო. რაუყოთ რომ გაპივრებულ კაცს გადასახადი გადაგიცილდა ვადაზე, ვინ გეიგონა მანათზე ათი შაური პრაცენტის გადახთიება, ან ამ დროში ოჯახის გახიბაკვაო. აბა ამისანა გლახა მიწები პირველ კატა-გორში ვინ მოაქციაო, აგი ჩვენი გამოცემული კალონი არც ერთი არაარ, აგენის სეირს მე შემოგასწრობთო. მე რა ვიცი რამდენი კიდო დაგვპირდა და ასე წევიდა. ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მისცეს. ჰო და ჩემი ბატონი შენ ხარ, მე თავმომწონეთ მივეჯვიმე მარიამას და მივაჯედი სუფრას, დავქვანქლე მჭადი ლობიაში და დედაშვილური ლუკმა გადავგზავნე სკვარამეთში. თან მუუხსენი ტრაბახს თავი, აბა ქალო შენ რა იცი რა კაცი ვარ, დღეს დამფუძნებელ კრების წევრმა ხელი ჩამომართვა, ასე უთხარი, ისე მითხრა, გავაკეთეთ ქვეყნის საქმე მეთქი.—შე განიქებულო, ამისანაი დიდი კაცი თუ ნახე, ბალნები რომ დათითული გვყავს, ციციაზა სტალინის ფოლს რვაას მანათს გვადრანგვიებენ, მასწავლებლები რომ ნახე. ვარი არ ვარგა, მამისისხლათ ნაყიდი ტყეით ლესნიჩები რომ დაასუჭეს, ამიზა გეთხუა რამე, თუ გვაძლევენ დროზე მიეცენ თქვა.—ქალო, სხვას აგერ მინისტერს ელიან იმას ვეტყვი ყოლიფერს, ერთი კაცი ხომ ვერ გაგვაკეთებდა მეთქი. მან მისი მითხრა, მე ჩემი და შეგვექნა ბდღვნაი. თლა მრთალიც არ ვიყავი, მარა იმედი მაქ მინისტერთან გამოვასწორებ საქმეს, მარა ამაზე შემდეგ.

შხანკოლა.

## ალდგომა დღე.

(უძღვნი ერმილე მენაბდის დედას).

ტყე ბაღნარი გაკვირტულა,
ბინდს მოკრძალვით თავს უჭრიან,
ბაღში ვაზი აცრემლულა,
ყვავილები იფურჩქვნიან.
მზე ქურდულათ ამოკურდა,
აელვარდა მთის მწვერვალი
და ზარებიც ახმაურდა,
გადმონამა ცამ წინწკალი.
სამლოცველოს გალავანში
ხალხი მოკრბა, ახმაურდა,
მორწმუნეა ბევრი მათში,
უფრო ბევრი კი — იუდა.
აქ მოლოცვა, იქ სიცილი,
საფლავებზე საკურთხები.
არვის ახსოვს დრო განვლილი,
აქ თათრების ურდოები.
ყველა ეძებს ძველ მეგობრებს,
მახლობლებს და თავისიანს,
აქ ერმილეს დედაც ეძებს
თავის ვაჟკაცს, იმ შავდღიანს.
შარშანც სძებნა, წელსაც ეძებს
საკურთხით და სანთლით ხელში.
ვერ პოულობს, ცოცხალ-მკვდარი,
ვერც ცოცხლებში და ვერც მკვდრებში.
ცას შებღავის, წყალს შესჩივის,
ხან მიწაზედ დააკვდება,
დაკარგულ შვილს მოსთქვამს, სჩივის
და სანთელთან ისიც დნება.

—

ერგეის შავს მთის მწვერვალზე,
რომელს ნისლი ჰბურავს ხშირათ.
წარსდგომია ბათომს თავზე,
გადაჰყურებს ზღვას გულ-გრილათ.
იქ დანგრეულ აკოფს გვერდით
მიწის გული აზნექილა,
მოქარგულა ყვავილებით,
ფშვენს ყაყაჩო და ბიბილა.
აქ მარხია ის ვაჟკაცი,
ვინც მეობრებს წინ უძღოდა,
აქ შეება მტრებს მამაცი,
სპა ნისლივით მოდიოდა.
აქ გასცვალა თავი ასში,
არ აბრუნა მტრებს გულ-პირი,
ჩაესვენა აქ საფლავში,
სამშობლოის მცველი გმირი.
გაზაფხულზე, ტურფა დილას,
ან როს შვებით დაბინდდება.
მზე მიაფენს წითელ შილას
და ბულბულიც აკვნესდება.
დანამული ყვავილები,
მოკრძალებით თავს დახრიან,
მწუხარ დედის ვით თვალები
ამბორით ცრემლს დააყრიან.
და ამ ამბორს მწარ კვნესაში
შეაწებებს ცივი ქარი
და ვით ელვა მიჰქრის გზაში
შემცხადების ფაიქარი.
და ჩურჩულით ლანდი ბნელში
დედის სულს გულს ეფინება,
ის კი — ეძებს სანთლით ხელში
და სანთელთან ისიც დნება.

**ვ. ჭყონია.**

---

## ხათაბალას დეპეშები.

**სუფსა.** ტყუილია ის ხმები, ვითომ სადგურში ბილეთების გაყიდვის დროს ფითონ მგზავრები იცავდენ წესრიგს.

— კოოპერატივ „იმედის“ სავაჭროში გასულ წლიდან დღემდე დახარჯულა 30 ბოთლი წითელი მელანი. კალმის წვერებს სხაპა სხუპით გაქონდა ტრიალი შავათ დაწერილის გადაკეთებაზე, მაგრამ საქმე მაინც გასწორ-გამოსწორებით ჩაფლავდა.

— „იმედის“ ახალ არჩეულ სარევიზიო კომისიებს, იმედი აქვთ სხდომა დაინიშნება 1924 წ. ვასაც რაიმე მასალა მოეპოვება, უნდა წარუდგინოს კომისიის წევრებს 1923 წლამდე.

— სუფსის თემმა ახალი თავმჯდომარის ძებნაში ძველიც დაკარგა.

— ბაზარში დიდი სიწყნარეა, დუქნებში ბაქარის თამაში სისტემატიურათ მოეწყო.

**ოლოლე.**

---

## სახათაბალო.

ჯერ ძმაო და შემდეგ ამისა ხათაბალაში მყოფო ამხანაგო და ამისავე გამო ხათაბალის დამაარსებელო; ჩვენში კი დარჩეს და კარგათ მოგეხსენება, რომ იმ თავითვე მე და შენ ერთ ხათაბალაში ვიყავით ჩავარდნილი. აბა, როგორ დაივიწყებ იმ სანახსოვრო ხათაბალებსა, რომლებიც ჩვენ ერთად თავზე გადვივლეთ და რომლებიც ისე შემოგვეკვეენ, რომ არც ახლა გვანებებენ თავსა.

ამიტომაც სრულიადაც არ გამიკვირდა რომ ხათაბალით საქვეყნოთ გამოხვედი და მეცა მთხოვე, შენს ხათაბალაში ჩავარდნილიყავი.

და აი შენი დავალებითვე გამოვსწიე შენი ხათაბალისკენ დიდი შინდის კეტით მხარზე გადებული. მოგეხსენება, რომ კეტის ტრიალი საყვარელი და მამაპაპური, რჯულზე უმტკიცესი, ჩვეულებაა ჩვენი ქვეყნის იმ მადლიანი კუთხისა, საიდანაც მე გახლავარ; და მეც შეძლებისამებრ დავტრიალდები შენს ხათაბალაში.

და ამ თავითვე გეფიცები ჩვენთვის ამ უწმინდესს და უმაღლესს იარაღს სახათაბალო ბრძოლისას, რომ უსამართლოთ და უსწორ-მასწორათ ძას არ ვიხმარებ და ამით უნაყოფო, ტყუილ-უბრალო ხათაბალას არ გადაგკიდებ. გეფიცები, რომ მხოლოთ დამსახურებულთ კუთვნილებისამებრ ვდრუზავ მ.გარ თავში, მხოლოთ იმისთვის, რომ ისინი ნემსით, თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ შეუგნებლათ ზიანს აყენებენ ქვეყანასა.

ახლავე გულახდილათ გეუბნები, რომ ახალმოდის უცბათ მოვლენილ ბატონებისაგან ყბათაღებული ოპოზიციონერი ვარ და კუდის ქნევის მაგივრათ კეტს მოუქნევ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, უკეთუ ისინი გაკეთების ნაცვლათ საქვეყნო საქმეს აფუჭებენ.

მოგეხსენება, ძმაო, რომ ჯოჯოხეთში ბელზებელმა თავისი კონტრ-რაზვედკით გაიგო, რომ გორელებს ოხუნჯობაში და ხუმრობაში წინ ბევრი არ წაუდგებოდა და აი ეს შეშურდა ჯოჯოხეთის მბრძანებელს. და ისე ახირებულათ, ისე ტარტაროზულათ იოხუნჯა, ისეთ ისეთები ამოაბრახუნა და ამოარახუნა, ბატონო და თანაც ჯოჯოხეთური ხარხარი დააყოლა, რომ გორელებს გულები გადმოუტრიალა, თავზე სახლები დაანგრია და ადუპვის კარს მიაყენა.

აშკარაზე აშკარა იყო, რომ მიწა ინძრა, მაგიერ ზოგიერთმა ჩვენ მა ბრძენმა პოლიტიკოსმა ღედამიწას ეს ამბავი პოლიტიკანობათ ჩამოართვა, მის განზრახ პოლიტიკას მიაწერა და მსწრაფლვე მოხერხებულათ მოიმარჯვა თავისი მეტათ ცალმხრივი, ოკრო ბოკრო დემაგოგიური პოლიტიკა.

და აი ეს ზევითა პოლიტიკა ქვევითა პოლიტიკანობას შეებრძოლა; ხოლო ამ ორ ცეცხლს შუა, გრდემლსა და ჩაქუჩ შორის გორელები და უწყინარი ქართველელები მოექცნენ. არც წინ, არც უკან; არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. მაგრამ ქვევითა პოლიტიკამ მაინც თავისი გაიტანა, ზევითა პოლიტიკა გატეხა და გორელებს გასაქცევი გზა მიეცათ... ზევით .. ქუთაისისაკენ და არა თბილისისაკენ, რადგანაც როგორც ოფიციალური აგენტის განცხადებიდან სჩანდა, არა სასურველი ელემენტის გაძლიერება არ იყო სასურველი...

აი დიდზე დიდი ახირებული ხათაბალა თუ გინდა ეს იყო და.. სამწუხაროთ ჯერაც არის.

ამას თავი დავანებოთ; შესდგა შენ ხარ ჩემი ბატონი, ათას შვიდასი კომისია, ათი ათასი მოსამსახურით, სადაც ადგილობრივი დაზარალებულნი თითებზე ჩამოითვლებოდნენ და სადაც ნათლიმამობამ სპეკულიაციაზე უფრო მაგრათ მოიკიდა ფესვი. დახმარება დახმარებაზე მოდიოდა და ერთგული კომისიები ყველაფერს სოლიდარულათ, კომუნისტურათ ანაწილებდნენ .. ერთმანეთსავე შორის. ისინი ხალხს არ აწუხებდნენ და არც გულ ხელ დაკრებილი ხალხი აწუხებდათ მათ.

და აი ამნაირათ მრავალ კომისიათა და საშოვარზე გამოქცეულ პირთა ბედნიერებამ იწყო აშენება გორელების და სხვათა უბედურებაზე.

დავანებოთ ჯერ ჯერობით ამასაც თავი და გადვიდეთ თბილისის მამების გულშემატკივრობაზე. სთქვეს: მატარებლები მივაშველოთო, რაზედაც ზევიდან ზურგ გამაგრებულმა, სქელ-კანიანმა ხმოსანთაგანმა სამაგალითოთ იოხუნჯა: „მატარებელი რათ უნდათ. ტივზე დასხდებიან და ზურნით ჩამოვლენო“. თფილისში ჩამოვიყვანოთ, თუ კი სომხები შევიფარეთ, დროებით ისინიც შევიფაროთ, ითქვა, რაზედაც თავების ყველაზე დიდმა თავმა ბრძნულათ იმეორეტყველა: ,,ქალაქი გაქედილია, ბინები არა გვაქვს, ცის ქვეშ რა უშავთო‘‘!.

ესეც გვერდზე დავტოვოთ და მივიდეთ ქართველებისათვის მზრუნავ დიდი კომისიის პასუხისმგებელ თავმჯდომარესთან, რომელმაც დამშეულ გორელების დელეგატებს გამოუცხადა: მე დემოკრატიზმს თქვენთან არ ვითამაშებო. გესმის, კარგათ ჩაისმინე: დემოკრატიულ საქართველოში, დემოკ-

რატი პასუხისმგებელი დიდი პირი აცხადებს: დემოკრატიზმს არ ვითამაშებო.

და ახლა რას იტყვი, ძმაო და ამხანაგო, მოუხდებათ თუ არა ყველა ამ ვაჟბატონებს, ჩვენი ქვეყნის ყლაპია სქელ-კანიან პოლიტიკოსებს, რომლებიც ბრმა-ყრუ, ბეცა და ცალმხრივ ეგოისტურ პოლიტიკას აწარმოებენ, თითო მაგარი კეტი ვდრუზო და უთხრა: ,,ხელი აიღეთ ასეთ ღვარძლიან, მიკერძოებულ პოლიტიკაზე, რომელსაც ვითომ ფარავთ, მაგრამ ბოლო ცხადზე უცხადესათ უჩანს, და იწამეთ ძმობა-ერთობა-თანასწორობა, თორემ თუ განადგურებულ და დამშეულ ქართველების გულში ბოღმა ჩაგუბდა, მართლა კეტებით მტროების გზას დაადგებიან და მაშინ გვიან იქნება თითზე კბენანი!..

**მოხათაბალე.**

## სურათები (ჭიათურისათვის)

უწინ თუ აქ თავს იმტვრევდენ
სულ სხვა და სხვა ფრაქციები,
ეხლა ყველას პირზე აკრავს
მარგანეცის აქციები...

—

მილიონებს გაიძახის
გუშინდელი არას მქონე,
დაბალ ხალხში საქმე არ აქვს
დადის რაღა, თავ მომწონე!..

—

აი, თუნდაც აგერ მოდის
თავის ყვითელ ფოლაქებით
„ბობოღლებსა“ კუდში მისდევს
გაგვაყრუა თავის ქებით!!

—

ისეთ საქმეს დაგაყენებს
არც მოგკლავს და არც დაგარჩენს,
სულ წაგართმევს ყველაფერსა
არაფერსაც არ შეგარჩენს!!

—

კანონების „მცოდნე“ ბიჭი,
ღმერთმა მისცა სიბრძნის ნიჭი!!

—

აი, კიდევ აგერ მოდის
გეპარება როგორც მელა,
მის საგმირო საქმეებსა
მე მგონია იცნობთ ყველა.
(ვისაც მასთან საქმე გექნეს
აიტეხოთ თავის ბელა).

—

აი, ესეც ხონელია
ტანთ ჩაუცვამს შვიდი ჩოხა,
გამოქნილი ყმაწვილია
ბევრს ასწავლა მუცლით ხოხვა!

—

თავს ისე სთელის, თითქო სულაც
მისი იყოს ეს ქალაქი,
თუმც ცხოვრებამ სიგლახისა
კარგა ბლომათ მოსცხო ლაქი!!

—

აგერ მოდის, მოჩხაკუნობს
თავის ლურჯი სათვალეებით,
ეს ყმაწვილიც ცნობილია
წვრილი ხალხის გაწვალებით.

—

დაბალ ხალხის „მოსარჩლეა“,
აწარმოებს თამასუქებს,
ვინც რომ ამას გადეკიდოს
ის კუჭს ველარ გაისუქებს.

—

ესეც მიწას ემძიმება
რომ გამორბის და მოშხუის,
დამეხმუნეთ, უვიც ხალხთან
ყველაზე მეტს ესა სტყუის!!

—

მერწმუნე რომ ამ ვაჟბატონს
ვერც თუ მიეკარებია,
მარგანეცის მეპატრონეთ
ჩაუკეტა კარებია!!

—

რაც თითონ სურს, იმას ჩადის
არავისა არ აქვს შიში,
აზრიანი მეგრელია —
იცის თავის ანგარიში...

—

ჩამოთვლილმა სურათებმა
ეს ქვეყანა „გაამშვენეს“,
„ახალ“ საქმის მეთაურათ
ნიკოც გულზე მიისვენეს!!

—

რას მოესწრო ჭიათურა
ეს რა ხალხმა დაიბუდა,
ქვეყნის მხსნელათ თავს აცხადეას
გუშინდელი მელა-კუდა!!

**ჭიათურელი ეშმაკი.**



**რუსული აგიტაცია საქართველოში.**

ამხანაგებო! რუსეთის თვალი საქართველოა, უ საქართველოთ რუსეთი ბრმა იქნება... დამცირებული, შერცხვენილი. ამხანაგებო ჩაეწერეთ რა პარტიაშიდაც გინდათ, მხოლოთ არასოდეს არ დავავიწყდესთ, რომ საქართველო რუსეთს უნდა დაუბრუნდეს, შესწირეთ ამისთვის თავი. ეს იქნება წმინდა მსხვერპლი მოტანილი სამშობლოს საკურთხეველზე.



**დღევანდელი „თავისუფალი“ მოქალაქის სიზმარი, თუ როგორ იყო დატვირთული ძველ დროს.**

ვასო აბაშიძე ხათაბალას როლში.

— ისევ ჩემი ხათაბალა, თორემ შიმშილით კუჭი გამიხმებოდა. ეს რა დრო დადგა გეთაყვა!..

## მუშის სიმღერა.

ჰა გამართლდა, გასჭრა ძალამ,
ამისრულდა საწადელი,
ცხოვრების ზღვამ ხომ ჩასძირა
ნიკოლოზი, სულის მხდელი?..
ომი — ომი... ისიც შესწყდა—
აღარ გრგვინავს ზარბაზნები,
ცნობა—ცნობა... ისიც მოხდა—
საქართველოს აქვს საზღვრები.

—

მაშ, ეხლა ხელს რაღა გვიშლის,
რა ეშმაკი, მაჩანჩალა!
დღე და ღამე ოფლში ვცურავ
დავდნი, აღარა მაქვს ძალა.
აღარც ღმერთი, აღარც კაცი,
ჩემს საქმეს არ ეხიდება!
— ცხონდი ბერო!
— როდის, როდის!
(მადლი გამჩენს და დიდება!).

**შხანკოლა.**



# გზა სამოთხისაკენ.

**ბოკაჩიოსი.**

ფლორენციაში ერთი მონასტრის ახლოს, სან ბრაკაციოში სცხოვრობდა ერთი გულ-კეთილი მდიდარი მოქალაქე, კაცი მეტად ღვთის მოყვარე, მორწმუნე, რომელიც მუდამ თავის სულის ცხონებაზე ფიქრობდა. ის ჩაეწერა მონასტერში ძმათა შორის და იწოდებოდა ძმა პუჩჩოთ.

პუჩჩოს ერთად ერთი ცოლი ყავდა, ამიტომაც მეტ ნაწილს თავის ცხოვრებისას სულის საქმეს ანდომებდა, რადგან საზრუნავი არავინა ყავდა.— პუჩჩო, იყო გაუნათლებელი და მასთან სუსტი ჭკუისა, ამიტომაც ღვთის ვედრებაზე გადაგებული იყო, ხშირად მარხულობდა, ივიწროებდა თავს, ხოლო თავისი სული ეცხონებინა რამე გზით.

პუჩჩოს ცოლი — იზაბელა, იყო ახალგაზდა და მეტად ლამაზი ქალი. ქმრის ამნაირი საქციელი რა თქმა უნდა, ცოლს არ მოსწონდა, რადგან უფრო მეტ დროს პუჩჩო ლოცვა-მარხულობაში ატარებდა ვიდრე თავის ცოლის ალერსში. ხშირად კი ქმარი ალერსის დროსაც, სახარების და სამოციქულოს სიტყვებით უმასპინძლდებოდა თავის ცოლს. იზაბელა იტანჯებოდა, მაგრამ მაინც იტანდა ყოველივე ამას.

სწორედ ამ დროს პარიზიდან დაბრუნდა ახალგაზრდა ბერი, ფელიჩე, რომელიც პუჩჩოს კარგი ნაცნობი იყო, პუჩჩომ ფელიჩე თავის ოთახში მიიპატიჟა, გააცნო იზაბელა და ხშირად ბერი ამის შემდეგ მათი სტუმარი იყო.

იზაბელას ახალგარდა ბერი შეუყვარდა, ფელიჩემ ეს შენიშნა და თავის მხრით ყურადღებას არ აკლებდა. სულ მალე ერთმანეთს გაუღეს გულის კარი და ორი შეყვარებულნი ხშირად ატარებდენ მუსაიფში დროს. ფელიჩე ხშირად პატიჟობდა იზაბელას ქალაქში გასასეირნებლად, მაგრამ ფრთხილი იზაბელა ყოველთვის უარს ეუბნებოდა თავის საყვარელს. ფელიჩე დაღონებული იყო ასეთი მდგომარეობით, სახლში მეტ წილად პუჩჩო იყო და თავისი სიყვარულის ნაყოფით დატკბობას ვერ ახერხებდა. ცალიერი ალერსი კი ფელიჩეს მობეზრდა.

ერთხელ, როდესაც ემუსაიფებოდა თავის მეგობარს პუჩჩოს, ფელიჩემ უთხრა მას: ძმაო, მე ვხედავ, რომ შენ სულის ცხონებისათვის გადაგიდვია თავი, ამისთვის შენ არ ზოგავ არც სიმდიდრეს, არც დროს, არც თავის შეევიწროებას. მაგრამ ჩემო საყვარელო მეგობარო, გზა შენი მართალია, სწორია, მაგრამ ფრიად გრძელია... ჩვენ, მონასტერში წმინდა მამები სულის საცხონებლათ გვასწავლიდნენ სულ სხვა გზას, სულ სხვა საშუალებას. შენ ჩემო მეგობარო, თუ მოისურვებ გასწავლი მე ამ გზას. მხოლოთ ერთი პირობით, რომ ეს საიდუმლოთ უნდა დარჩეს ჩვენ შორის, რომ უბრალო მოქალაქეებმა არ ისწავლონ ეს გზა.

პუჩჩომ შეფიცა ფელიჩეს, რომ ის საიდუმლოებას არ გასცემდა, მხოლოთ ესწავლებინა კი მისთვის საშუალება სულის ადრე ცხონებისათვის...

ჩვემო ძვირფასო! დაიწყო ფელიჩემ, ხომ იცი, რომ მე შენ უარს არ გეტყვი, მაშ მომისმინე: სულის ნეტარებას წმ. მამების გადმოცემით მიახწევ მაშინ, როდესაც ცოდვებს მოინანიებ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შენ უცოდველი იქნები, ცოდვები მუდამ ჩვენს გარეშემო არის და დაგვტრიალებს თავზე. აი ამიტომ არის საჭირო, როცა ცოდვებს მოინანიებ, უნდა ეზიარო მაშინვე. შემდეგ კი უნდა იმარხულო 40 დღე. ამ ხნის განმავლობაში შენ საკუთარ ცოლთანაც ურთიერთობა უნდა შესწყვიტო. შემდეგ უნდა ამოირჩიო ერთი ოთახი შენ სახლში, დაწვე დიდ მაგიდაზე და საღამოდან დაწყებული დილამდე განუწყვეტლივ უნდა ილოცო.—დილაზე, როდესაც ცისკრისას დარეკავენ, მხოლოთ მაშინ შეგიძლია ადგე მაგიდიდან და დაწვე შენ ლოგინში დასასვენებლათ. ეს უნდა გაიმეორო ყოველ დღე 40 დღემდის. თუ გინდა მიიღო სულის ცხონება და ნეტარება, სწორი გზა სამოთხისაკენ ეს არის.

— დიდათ გმადლობ ჩემო მეგობარო, შენი ბრძნული დარიგებისთვის,— უპასუხა პუჩჩომ,— ყოველივე ეგ ჩემთვის ადვილი ასასრულებელია, და ღვთის შეწევნით ამ კვირიდან მე შეუდგები ჩემი სულის ცხონების საქმეს.

პუჩჩო მოუყვა თავის ცოლს სუყველაფერს და იგი მიხვდა მაშინვე რომ ეს ეშმაკობა ფელიჩეს საქმეა, რომ მეტი თავისუფალი დრო ჩაეგდო ხელში. იზაბელამ უპასუხა, რომ ძალიან მოსწონს ქმარის გადაწყვეტილება, და თითონაც შეპირდა, რომ იგიც იმარხულებს მხოლოდ დანარჩენ წესებს ვერ შეასრულებს.

შემდეგი კვირიდან პუჩჩო შეუდგა სულის ცხონების საქმეს, ფელიჩე კი იზაბელას თანხმობით ამ დროს ატარებდნენ ერთად და სტკბებოდნენ სიყვარულის ნაყოფით.

ოთახი, სადაც პუჩჩო იყო სამლოცველოთ, სწორეთ იმის გვერდით იყო, სადაც იზაბელა თავის საყვარელით ნეტარებდნენ. ეს ოთახი თხელი ფიცრით იყო გაყოფილი შუაზედ.

ერთ საღამოს, როდესაც პუჩჩო თავის ოთახში შევიდა სალოცავად და გაწვა მაგიდაზედ, გაიგონა, რომ თავის ცოლის საწოლ ოთახში კრაოტის ჭრიჭინი მოესმა. პუჩჩომ უფრო ყურადღება მიაქცია, უფრო აშკარათ გაიგონა პუჩჩომ, რომ კრაოტის ჭრიჭინი თანდათან მატულობდა და ბოლოს ერთი ისეთი შეინძრა, ასე ეგონა მთელი სახლი ქანაობსო... პუჩჩომ ვეღარ მოითმინა და ცოლს დაუძახა:

— იზაბელა! კრაოტი რათ ჭრიჭინებს, ან შენ რას აკეთებ მანდ?!.

— კრაოტზედ ვკოტრიალობ, უპასუხა იზაბელამ.

— კი მაგრამ სახლი რაღათ ინძრევა ასე მაგრა...

— თითონ შენ არ მითხარი, რომ კაცი როცა უვახშმოთ დაწვება ხშირად კოტრიალობს ლოგინშიო...

— მე ხომ გითხარი, რომ ნუ მარხულობ მეოქი... ეგეც არ იყოს, აგეთი ჭრიჭინი მე არ მიყვარს...

პუჩჩომ განაგრძო თავისი ლოცვა.. იზაბელა და ფელიჩეც თავისას არ იშლიდნენ...

ხა—მი.

# იუმორისტი რიკო

რიკო მწერლობაში სხვა და სხვა ფსევდონიმით თანამშრომლობს იუმორისტულ ჟურნალებში. ის მეტად მოურიდებელი ადამიანია მწერლობაშიაც და სიტყვიერადაც ის რომ შეკრებულებში ვინმეს გაეხუმრება, მისი სიტყვის შებრუნება მეტად სახიფათოა, რადგან ის უფრო და უფრო უწმაწურათ გალანძღავს მოპირდაპირეს. თითონ, რაც უნდა გალანძღო, ყოველთვის მშვიდათ და არხეინათ გიპასუხებს სამაგიეროს.

რიკოს მოსწრებული სიტყვები და ლექსები ბევრია გურიაში გაფანტული და გიტარა-ჩონგურზე ამღერებენ ბარიშნები. ჩვენ განვიძრახეთ მისი შეკრება, მაგრამ სამწუხაროთ უმეტესი ნაწილი ჟურნალში არ დაიბეჭდება, რადგან შიგ მეტათ უწმაწური სიტყვები არის ნახმარი, ხოლო, რისი დაბეჭდვაც შეიძლება, სისტემატიურად გავაცნობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს.

## რიკოს მოსწრებული სიტყვები.

ერთ კამპანიაში, სადაც რიკო თამადათ იყო, ღვინის სმა გაიმართა. ზოგნი წინააღმდეგი იყვნენ-სმის. ერთმა მანდილოსანმა მიმართა რიკოს:—მე ვამბობ ღვინის სმა შეწყდეს და შენ როგორც განათლებულმა კაცმა მე უნდა დამიჭირო მხარიო.

— კიდევ ვინ გიჭერს მხარს-ი, კითხა რიკომ.

— აი, ეს ორი კაციო, მიუთითა.

— რაღა ყველამ მხარი დაგიჭიროთო, ორი მხარს დაგიჭერს, ერთი თავსა და დანარჩენიც ფეხებსაო,— უთხრა რიკომ.

ხალხში სიცილი ატყდა, ქალმა იუკადრისა ასეთი ხუმრობა და გალანძღა რიკო—შენ მასხარა და ტუტუცი ყოფილხარო.

— ეგ მართალიაო, უპასუხა რიკომ,—მასხარა ბუნებით ვარ და ტუტუცი სიმთვრალეშიო, მაგრამ შენ რომ უღვინოთ გაგიჟებულხარ, მაგის წამალი მაინც ის არის, რაც გითხარიო.

—

ერთი რუმბივით მრგვალი და მსუქანი კაცი შეედავა რიკოს:—შენ ვის იგდებ მასხარად თუ იციო, ისეთ დღეს დაგაყენებ, რომ სულ ვირთხასავით გარბოდეო.

— ეგ შეიძლება აგრეც მოხდესო,—მიუგო ირონიულად, თუ მაგრე დააფჩინე პირი და იღრიალე' გასკდები ნაკერავზე და მე კი არა, ყველას მოგვიწევს გაქცევა მასპინძლიანათო.

—

ცოლს რატომ არ ირთავო,—კითხეს რიკოს.

— ვინც მომეწონა და შემიყვარდა ის არ გამომყვა და ვინც არ მომწონს და არც მიყვარს ის როგორღა შევირთოვო.

— კაცო, ჯერ უნდა შეირთო და მერე კიდეც მოგეწონება და კიდეც შეგიყვარდებაო.

— არა, მაგრე ოჩო-ფოჩოთ ვერ მოვკიდებ ხელს მაგისთანა დიდ საქმესაო—სთქვა რიკომ,—მე ისიც მინახავს, მოწონებულებმაც კი შეიძულეს ერთმანეთი, თორემ დაწუნებულს რაღა შემაყვარებსო.

—

ერთ კამპანიაში, სადაც რიკო იყო, მის მახლობლათ იჯდა ერთი კაცი, რომელსაც პირი ისე უყარდა რაღაც ავადმყოფობის მიზეზით, რომ მის სიახლოვეს ცხვირს ვერ მიიტანდი. ეს კაცი შეედავა რიკოს: შენ რას სულელობო, რაც სიმყრალე და სიბინძურე მოგადგება პირზე, ყოველივე კი არ უნდა წამოისროლოვო.

— სწორედ ეგ არის ადამიანის ღირსება და სიფაქიზეო, მიუგო რიკომ,—შენ ალბათ ყოველივე სიმყრალეს თუ კბილებს აკერ, მიტომაც მაგრე აგქოთებია ეგ პირიო; თუ ძმა ხარ, ცოტა შორს დამიჯექიო.

—

რიკოს კარგათ ნაცნობებმა: ორმა ბარიშნამ და ერთმა ქალურათ ჩაცმულმა ყმაწვილმა, ერთად გადაიღეს სურათი. ეს სურათი ბარიშნებმა რიკოს გაუგზავნეს ზედ წარწერით:

ამ გაუცნობელ ბარიშნას
ჯუფანი ქვია სახელათ.
მოგვწერე, ვინ ვის სჯობია
მიტომ გიგზავნით მას ხელათ.

რიკომ პასუხათ მისწერა:

დიდის პატივით გავიცან
თქვენი ბარიშნა ჯუფანი,
ჩაცმულობით და ტანადათ
ვერ მოუდგება გულქანი,

გარეგან თქვენზე კარგია,
უფრო თეთრი და მსუქანი,
მაგრამ შიგნით კი თქვენსავით
იმას არა აქვს ,,დუქანი''.

—

რიკო ღამისთევაში იყო, ფანდობია ითამაშეს და რიკოს გადაუწყვიტეს: უნდა ჩამოეევლო და ყველა ბარიშნიზა ლოყაზე ეკოცნა. რიკომ მართლაც ყველა ბარიშნები გადაჰკოცნა, ხოლო ერთმა სხვებზე ულამაზო ბარიშნამ არას გზით არ აკოცნია. ეს რიკოსაც არ ესიამოვნა და ძალათ მოინდომა კოცნა, მაგრამ ქალმა კივილი დაიწყო და სიახლოვეს არ მიიკარა. საზოგადოება დაჟინებით თხოულობდა, რომ აუცილებლათ უნდა გადაკოცნოვო.

— რა ვქნა, მე მეტი ძალადობა არ შემიძლიაო,—განაცხადა რიკომ,—მოდი შემიცვალეთ და კოცნის მაგივრათ ყურში ვეტყვი რამეს საიდუმლოთაო.

ამაზე საზოგადოებაც დათანხმდა და ბარიშნაც. მივიდა რიკომ, ვითომ ყურში რაღაცას ეუბნებოდა, მხოლოთ ფუჩუ-ფუჩუო ჩაუძახა და ამასობაში ლოყაზედაც მაგრათ აკოცა და გამობრუნდა. ბარიშნას კი ხმაც არ ამოუღია. ხალხში დიდი სიცილი შეიქნა. ვიღაცამ კითხა რიკოს: კაცო რა უთხარი ისეთი, რომ ასე გემოიანად გაკოცნიაო.

— ცოლათ მერთვა დავპირდიო, სთქვა რიკომ. ბარიშნა მეტად გაცხარდა და შეუყვირა: სტყუი, შე მასხარავ, შენაო.

— რომ ვსტყუოდი, ეს კოცნამდიაც უნდა გცოდნოდა, თორემ ამდენ ლამაზებში შენ ამოგირჩევდიო?!—მიუგო რიკომ.

—

რიკომ უთხრა ერთ ნაცნობ ბარიშნას მომწონხარო. ბარიშნამ გამოუტანა ალბომი და სთხოვა რიკოს: რა მოგწონს ჩემი, ჩამიწერე ამ ალბომშიო. რიკომაც ჩაუწერა ამნაირი ლექსი:

მომწონს შენი მუსაიფი
და ხელების ფართი-ფურთი,
არშიყობა, (თვალის ხუჭვა),
ბაღნობიდან რომ გაქვს ხუთი.
შეღებილი თვალი, წარბი,
დაგრეხილი თმა-ქუჩუჩი,
ჩასაკოცნი ცხელი ლოყა,
ჩასატკვერი ბაგე ტუჩი,
მომწონს შენი გამჯავრება,
თან კრუსუნი, თან ფუთფუთი,
სიარული თავდახრილი,
ხელის გული, ფეხის კუნთი.
მოსპეტილი გული, მკერდი,
შენი „სარკე", შენი „ყუთი"—
(სატრფიალო სამუდამო,
სასიამო—ერთი წუთი),

## წერილები მეგობართან.

### 1.

მეგობარო სალამს გიძღვნი
შენი ძმა და ამხანაგი,
(ქალაქი რომ მივატოვე
მიკვირს რა მომესწრა აგი).
მუდამ თვალზე მეღანდება
ჩვენი ერთათ სიარული
და დროება თითქოს ცუდი,
ჩემთვის—უფრო მხიარული.

—

სოფლის ამბავს თუ იკითხავ,
(აღარ არის საკითხავი)
არც თეატრი, აღარც კლუბი,
არც რამე წასაკითხავი!
გაზეთები თუ ვიშოვე
(ერთი კვირის ნათრიელი),
მართალ ამბავს დღეს სოფელში
უფრო იტყვის მარჩიელი.

—

ქორწილები ხშირი არის,
მუდამ ისმის ლხინი, თრობა.
(მე არ ვფიქრობ ეს ქეიფი
თუ ოდესმე მომესწრობა),
თორემ სახლი სატანცაოთ
ხაზირი მაქვს ორი ზალა.
(ხიბაკებით ის თათრებმა
დროიანათ დამიცალა).

—

ჩემს გამეტთან ბონის ფარა
ყველგან თავზე საყარია,
ვინც ჩალანდრათ არ ვარგოდა
იგი ეხლა მაყარია!..
რომ ვუყურებ ამ დროებას
მე მგონია ზღაპარია!
(დღეს კომისარი გამხდარა
გუშინდელი თხა-პარია!.. )

—

დღე და ღამე მუდამ ისმის
ვინტოვკების კვახა-კუხი,
(შიშით კარში ვერ გავდივარ,
ვზივარ სახლში, როგორც კრუხი!)
თოფი ყველას ქე ჰკიდია,
თუ გინდ იყოს ბატის ტვინი.
(სახლის თავზე ბარე ორხელ
გამიხვრიტეს ქერაბინი!)

—

ოზურგეთში, როცა თათრის
ასკერები ნავარდობდა
და ქართველი მეომრები
მის გარშემო კვერცხებს დობდა!

ამოდენა თოფის ტყვია
ჰაერში რომ გაესროლა,
დამერწმუნე ქართველ ლაშქარს
არ უნდოდა მეტი ბრძოლა.

თათრის ჯარი შიშისაგან
სტამბოლამდე მოკურცხლავდა
(და აჭარის ჯემალ-ბეგი
მკონი კიდეც მოკ..ლავდა).

—

სხვა რა კითხრა ჩემო კარგო,
სასიამო, მოსალხენი?—
ერთი ქცევა სულ საბახჩეთ
გადავბარე, გადავხენი,

მაგრამ თესლი ჯერ არა მაქვს,
ვერ ვიშოვნე ვერც ნაკელი
და ესენი, შენც ქე [illegible]ცი,
თუ ერთ ერთი დავაკელი,

მაშინ პრასაც არ მექნება,
არც მხალი, არც კარტოფილი
და რათ მინდა, მქონდეს კუხნა,
ვარაკუნო მარტო ფილი?!.

—

კარგათ იცი, საქმელებზე
როგორ ვიყავ დაჩვეული,
და ეხლა რომ ვერ ვშოულობ
ცოტა კიდეც მომდის გული.

შენ კი ხშირათ, ყავასაც სვამ
ბისკვიტებით, კარგო ჩემო,
მე კი—სამი წელი გადის
არ მინახავს ჩაის გემო.

კარაქი და შილაფლავი
ძილში თუ მომელანდება,
თორემ, ცადათ მისი ჭამა
ვიცი დამიკვიანდება.

პურის, ბრინჯის და შაქარის
ხოლოთ მახსოვს სახელები,
ისე,—მჭადის ნალუკმავი
მეწვის პირი და ხელები!..

—

მაგრამ დილით, ადრიანათ
გამომცხვარი კვერი, ცხელი
და ზედ შაშხი, (ღორის მწვ დი)
ისე კია გემრიელი,

რომ სხვა საჭმელს დაგავიწყებს
მხოლოთ მისი ლუკმა ერთი,
(მართლა, სოფელს ყველაფერში
კი არ გასწყრომია ღმერთი)

**გურიანთელი**

## პეტრეს და პავლეს საუბარი.

**პავლე** — გამარჯობა პეტრე, ქრისტე აღსდგა!

**პეტრე**. — „ქრისტე აღსდგას“ რაღა მადლი აქვს, როდესაც აღდგომას-აღარც კი უქმობენ.

**პავლე** — რას ამბობ, პეტრე, ვინ გითხრა აღდგომას უქმე არ იყოვო? მთელი სამი დღე იყო გამოცხადებული.

**პეტრე**. — კი მარა, ყველა სახელმწიფო და საზოგადო ეტლებ ცხენებ ავტომობილები ჩვენ ქუჩებში მიმინოსავით დაფრინავდენ და რომ საქმის დღე არ ყოფილიყო, რა უნდოდა მათ ქუჩაში იმ დღეს?

**პავლე**. — ეგ რა უყოთ, იმ დღეს ზოგი ვიზიტებზე დადიოდენ, ზოგიც ისე დასეირნობდენ, ზოგიც თავის ახლო ნათესავ-ნაცნობებს უთმობდენ იგივე მიზნისთვის.

**პეტრე**. – მაგას რას ამბობ, პავლე! საზოგადო და სახელმწიფო, ეტლი იქნება იგი, ავტომობილი თუ სხვა რამე—სულ ხალხს ეკუთვნისო, ასე გვასწავლეს და ასეც არის. ახლა შენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ხალხის საკუთრებას იგივე ხალხის მოსამსახურენი თავის განცხრომა სიამოვნებისთვის იყენებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხაზინის ფული (ხალხის საკუთრებაა, ხომ?) ყველას შეგვიძლია დაუსჯელათ ვფლანგოთ, მაგ. „ქიმერიონში“ ან „დარბაზში“.

**პავლე**. ფული სხვაა და ეტლებ-ავტომობილები სხვა.

**პეტრე**. —მოიცა, მოიცა! როგორ სხვაა? ესენი ციდან ცვივიან განა? არა, პავლე! შენ ალბათ ხუმრობ, მე არასოდეს არ დავიჯერებ, რომ ხალხის ქონებით სარგებლობა ვინმემ იკადროს დღეს. ეს უწინ იყო, როცა ხალხი საწველ-ფუროთ მიაჩნდა ჩვენს არამკითხე პატრონებს გახსოვს, პავლე, სოფლებში რომ „პრაგონის“ ცხენებით ბოქაულ-ჩინოვნიკები დანაყარდობდენ?

**პავლე**. —როგორ არ მახსოვს, მაგისთანა რამეები მახსოვს?

**პეტრე**. —ჰო და თუ გახსოვს, ისიც გეხსომება, რომ ჩვენ მათ ძალიან ვკიცხავდით, თუ პირში ვერა, ზურგს უკან მაინც. ახლა კი, როცა მაშინდელი გამკიცხავები, ხალხის სამსახურს შეუდექით, იმათ გზას დავადგებით? არა პავლე, შენ ცდები. აღდგომას საქმე დღე იყო. მთელი აპპარატიც ხალხის საკეთილდღეოთ იყო ამოძრავებული და ჩვენი საზოგადო მოღვაწენიც საქმიანობდენ.

**მ. შ—ელი**

# ხათაგალა პროვინციებში

**სუფსის რაიონი.** შესდგა ყველა ჯერის პლურტისტ-სპეკულიანტთა მორიგი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. სასწრაფო მოხსენება ნატანებიდან.
2. სუფსის თემის საბჭოს მოგუნდავების შესახებ.

— ნატანების წარმომადგენელი მოახსენებს კრებას მომხთარ ფაქტის გამო და ამბობს: ამხანაგებო! მოგეხსენებათ, რომ ნატანებში ისე რიგზე მოწყობილი გვქონდა ყველაფერი, რომ დღიურათ ხუთი ვაგონი სურსათი რომ გადაგვეზიდა ხელის შემშლელი არავინ გვყავდა. მატარებელში დღესაც ისე მოჭანდრაკებული გვაქვს საქმე. ვისაც ხუთი ცალი კვერცხი აღმოაჩნდება იმას ვირის აბანოში გზავნიან. ვისაც ათასი ცალი გააქვს ისეთებს სრულებით არ შეხედვენ. ამიტომ ჩვენი საქმეც წინ მიდის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ჩოლოქის ნაპირის მცველებთან ვერაფერი გავაკეთეთ, რითაც დიდი ზარალი გვადგება. ამ დღეებში ნატანებიდან გავგზავნეთ 70 ფუთი ღორის ხორცი. იმ დროს როდესაც ხარებს ცალი ფეხის ბოჭკი გადაბიჯებული ჰქონდა დენიკინის სამეფოში, მცველებმაც დაიძახა გაჩერდითო, ჩვენი ურემი და ხორცი ოლოლე ხელიდან, ქე დავრჩით პირში ჩალა გამოვლებული. აღდგომა დარაჯებმა გაითენა და ვარდენ მეკვანაძე და მე ქე ამოვბლაყუნდით ნატანებში. მოვახსენებ ყოველივე ამას კრებას და ვსთხოვ ზარალის ანაზღაურებას.

კრება ფეხზე ადგომით მწუხარებას გამოსთქვამს და ზარალის ასანაზღაურებლათ თავისუფალ თანხიდან სდებს 500,000 მან.

— მეორე კი ხეაზე სუფსის წარმომადგენელი მოახსენებს კრებას: გასულ კრებაზე დავალებული საქმე პირნათლათ შეასრულე და ჯერჯერობით მოგუნდავებულია საბჭოს ურჩი ორი ხმოსანი, დანარჩენების მიბეგვა ტეხნიკურ დაბრკოლების გამო ჯერ არ მოხერხდა, მაგრამ სრული იმედს გამოვსთქვამ თქვენს წინაშე, თქვენი დავალება სიტყვითი სიტყვამდე იქნება შესრულებული.

კრება ფეხზე ადგომით მადლობას მოახსენებს მომხსენებელს და სააღდგომო პასკის საყიდლათ ასაჩუქრებენ 100,000 მანეთით.

ოლოლე

## სიმღერები.

(უძღვნი ღანირ ჭაგნის დამტკიცების გამო, საზეიმო დღის ხელმძღვანელებს).

1.

ლალე-ლალე, თარი-თურა ლალე,
ღანირ-ჭაგანი დამტკიცდა ქალო გენაცვალე,
აწ ქუტირი ვერ დამჩაგრავს იგი გავიცალე
და თან ძღვნათა გვატანე ჩემი სივალალე.
გეყო, გეყო, ცუგრუმელა დღემდი რაც მაწვალე,
მოდი გულში ჩამეკონე, მოდი ჩემთან მალე.
ლალე-ლალე, თარი თურა ლალე,
ღანირ ჭაგანი დამტკიცდა, ქალო გენაცვალე.

2.

ეო, მეო, შენი ჭირიმეო,
დღეს რაც მქონდა მე ჯიბეში ყველა შევჭამეო,
მაგრამ მთელათ გავინაღდე რაც კი ვიმწარეო.
ღანირ ჭაგანი დამტკიცდა ძმაო იხარეო.
თუმც ნაწილი ჭაგანისა კულაშს შევწირეო,
მაგრამ მაინც კი არ ვნანობ სულ არ ვიტირეო.
ეო, მეო, გულო ილხინეო,
ღანირ-ჭაგანი დამტკიცდა მისი ჭირიმეო.

3.

ეო, ეო, როგორ არ დაკლეო,
ეი, გესმის! ყანწით ღვინო ჩქარა მომართვეო.
დღესა ჩვენი დიდი დღეა შენ აქ რად იცდეო?
ღანირ-ჭაგნის ზეიმია შვებას განვიცდეო.
დაიჭირე, შენცა ყანწი მამა პაპურიო,
გამოვცალოთ დალოცვლი ღვინო კახურიო.
ვადღეგრძელოთ ჩვენი ძმები, ამხანაგებიო,
ვინც ამ საქმეს წინ უძღოდა დასდვეს თავებიო.
ვინც თვის ხელით მოგვიგერა შავი მწერებიო
და მით აღარ გაახარა ჩვენი მტერებიო.
გაუმარჯოს ღანირ ჭაგანს! მას ვერ მოვრჩებიო,
გაუმარჯოს მის დამცველებს, მიხთვის მოკვდებიო.
გაუმარჯოს მის მომავალს იყოს დღეგრძელ ეო!
გაუმარჯოს მას, ვინც არის სიმართლის მჭერეეო.
ინეტარეთ, დაგვიმტკიცდა, ღანირ ჭაგანეო!
ჩვენი აღმზრდელი სოფელი, ჩვენი აკვანეო.

ჭაგნელი ბზიკი.

## ჩვენი თანამშრომლების საყურადღებოთ.

ქართველი საზოგადოება, როგორც ცნობილია მეტად გულცივად ეკიდება საზოგადო მოღვაწეთა დაფასებას და მისი ცხოვრების უზრუნველ ყოფას. ასეთი ბედი ეწვია ჩვენში კარგათ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს — მეომარს იოსებ იმედაშვილს (არიმათიელს). მართალია იოსებმა თავის თავს გადაუხადა 10 წლის იუბილეი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებამ მოიხადა მის წინაშე ვალი, ამიტომ ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა იოსებ იმედაშვილის დაუფასებელი ღვაწლის აღსანიშნავათ პატივი სცეს და მახლობელ ნომერში დაუთმოს რამოდენიმე საიუბილეო ფურცელი

უმორჩილესათ ვთხოვთ ყველას, რომელიც კი აფასებენ იოსების დაუღალავ მეშაობას და ნიჭს, მოგვაწოდონ შესაფერი მასალა იუბილიარის მოღვაწეობის შესახებ.

**სარედაქციო კოლეგია.**

## გამოცანა. (ბათომისათვის)

ტან მაღალი, თავ-პატარა
იცის ნელი სიარული,
მუშების დაბეზღებაში
მეტათ არის გაწაფული.
ამას წინად გამოქვეყნდა,
ამ ვერანას საქციელი,
ტყავსა ნავთსა და ქართობილს
თურმე აჭკრა ჩუათ ხელი.
დღეს არ იცის სად წავიდეს,
ვის შესჩივლოს, ვის მიმართოს
და ზედიზედ სწერს დანოსებს
მით გონება რომ გაართოს.

**კოდარა**

## რედაქციისაგან.

„მათრახის“ პირველ ნომერში მოთავსებული წერილი „პაწაი წელკავის“ ფსევდონიმით, რომელიც ეხებოდა პატივცემულ სამტრედიის მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც გამოირკვა არ შეეფერება სინამდვილეს. რედაქცია ბოდიშს იხდის პატივცემულ სამტრედიის მომრიგებელ მოსამართლის წინაშე უნებლიეთ უსიამოვნების მიყენებისათვის.


საბუნებო, კარიკატურებიანი ჟურნალი

# „მ ა თ რ ა ხ ი“

მასში დაიბეჭდება მხოლოთ საბუნებო მოკლე წერილები.

მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მიმართულების ობუნებ მწერალს, თუ მისი ნაწერი საშართლიანათ შეეხება რაიმე უკანონობას.

ყოველი წერილის პასუხის მგებელი არის თვით ავტორი. რედაქცია ავტორის ვინაობას საიდუმლოთ ინახავს, ხოლო თუ რომელიმე ავტორი შეცდომაში შეიყვანს რედაქციას და ტყუილ ცნობას მოათავსებს შიგ, როცა ეს გამოირკვევა კულტურული საშელებით, იმ შემთხვევაში რედაქცია საჯაროთ რიცხავს ავტორს თანამშრომლობიდან.

**რედაქცია არ დაბეჭდავს პასუხსაგებ წერილებს, გამოცანებს და სხვ თუ წერილის მეორე გვერდზე დაწერილებით არ იქნება განმარტებული ვის შეეხება და რა დანაშაულობისთვის.**

„მათრახის“ რედაქცია სთხოვს ქალაქისა და პროვინციის თანამშრომლებს, მოგვაწოდონ როგორც წერილები, ისე კარიკატურო პირების სურათები და დახატული კარიკატურები.

მისამართი: სტამბა „სირაპანი“, **თეოფილე ბოლქვაძეს** (ძათრახისათვის).

ə 158 / 1920 / 2

## ახალი სიმღერა

(ჰიმნი ქართველი სტუდენტების და სტუ-
დენტკებისა).

ნარი მიყვარს, ნარი მე,
ნარის სულის ჰირიმე.
ნარიმანა გოცაძე
შევესწარი კოცნაზე

—

მისთვის მიყვარს ნარიმანი
სიმონიკას მამა არის.
ნარიმანა გოცაძე...

—

ხოპერიკი მიწებს გვართმევს,
სიმონიკა ასამართლებს.
ნარიმანა გოცაძე ..

—

ნარიმანი მისთვის მიყვარს
ბევრი ქალიშვილები ყავს.
ნარიმანა გოცაძე...

—

ფილოქსერა შემოსულა
ამ ვენახის ბინაზე.
იმ შავთვალას შევიყვარებ,
ამ შავთვალას გადვიყვარებ
ერთმანეთის ჯინაზე.

ნარიმან.

— მეგობარო! ვირისაგან წიხლი ნუ გეწყინება.
— ეგ გვერდები კი ჩამილეწა და რაღა ნუ მეწყინება ჩემო ძმავ!

სტამბა „სოლოპანი“, მ. გაჩეჩილაძისა. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.